

რედაქცია: სოლოლაკე, ბაღის
ქუჩა, მელიქიშვილის სახლში, № 43
პატორია რედაქციისა: მელი-
ქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

სელის-მოზერა: მილება კანტო-
რაში. გარეშე მცხოვრებთათვა: ვ. თ. რ.
ძის. ვ. რედაქციის განვითარება. „დროება“.

გაცემის ფასი: მთელის წლის
— 8 მან., ნახევრ წლის — 4 მან.
და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან., ერ-
თის თვის — 1 მან.

უმორილესად ვთხოვთ იმ ჩვენს
აგენტებს, რომელთაც რედაქციას-
თან თავიათ ხელის-მოვალეობის
ანგარიში ჯერ კიდევ გასორისებული
არა ავთ, რაც უეილება გალე გა-
ასორონ ანგარიში და ხედი უუ-
ლი გაზეთისა გამოგზავნონ რე-
დაქციაში.

ტელეგრამები

(ოფიციალური)

ბრძოლის ველიდავ

ოქტომბერი, 19 ივლისს. ლენინგრად ალხა-
ზოვის ჯარის მარჯვენა კალინამ გამარ-
ჯებით გადაიარა ზერთა, თუმცა ეს
ადგილები მტერს ძალიან გამაგრე-
ბული ჰქონდა. მტერი დაგამარცხეთ
და პოდორს იქია განვდევნეთ. ამ
გამარჯების წყალობით, ხმელეთზე
გამოსული მსმალოს ჯარი აჯანყებულ
აბხაზებისაგან გაცალკევებული შეიქნენ.
ჩვენი ცენტრისანი ჯარი მდ. მოკედლის ნაპი-
რით თითქმის ზღვის ნაპირამდინ მიდის.

ჩვენის მხრით მოკლულია — 1, და-
ჭრილია — 14.


ოქტომბერი, 19 ივლისს. მისამირეში მო-
ვიდა ორი ხომალდი ასმალებისა, ერთი
ცეცხლის გემი რამდენიმე დიდი ნავით
და ამას გარდა ორი ჯავშნიანი ხომალდი;
ერთს ამათგანზე აღმირალის ჭლავია
(დროშა).

ოქტომბერი, 20 ივლისს. რაღვან ლენ. ალ-
ხაზოვის ჯარმა სოფ. მერკულოვი და-
კირა და ზერთისაკენაცა გაიწია, ამის
გაშო ასმალების მიატოვეს მისამირე,
რომელიც ჩვენმა ჯარმა უკეთ დაკირა.
პოლორის მაზრა ამ ქამად ჩვენს ხელშია.

ვენა, 20 ივლისს. ბელგრადში დაბრუნ-
და ძრაგუევაციდამ საბერძნეთის ელჩი,
რომელიც თავის მმართებლობისაგან იყო
იქ გაგზავნილი იმ განზრახეით, რომ
სერბიასა და საბერძნეთს შუა ერთად მო-
ქმედებისა და კავშირის პირობა შეეკრა.
მლჩიმა ვერა გაარიგა-რა.

სტამბოლი, 22 ივლისს. მსამა-ფაშა-
საგან მოვიდა აქ პლევნოდამ გუშინ ტე-

შოველ დღე რეზაბათს გარდა



ვალე ნოვერი ღირს შავრათ

განცხადება: მილება ჭორულს,
აუსულს, სომხურს და სსკ. ენდობი.

ვასი განცხადებისა: მილება ჭორულ-
ებით ასოზე — 1 კაპ., ასო-შორავის უდინ-
სტრიქონზე — 8 კაპ., ჩევულებრივის
ციცეროთი — 5 კაპ., პატარა — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაა-
წოროს და შეამოკლოს დასაცემდა
გამოგზაუნილი სტატიები. დაუბეჭდელი
სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ლევრამმა, რომელიც გვაცნობებს, რომ
19 ივლისს დიდ-ძალი რუსის ჯარი მო-
ადგა ამ ქალაქს მარჯვენა მხრიდან; მა-
გრამ, გაცხარებულის ბრძოლის შემდეგ,
რუსები დიდის ზიანით უკუ-ფაქტით და
წავიდნენ თავის ბანაკში; რუსების ჯარ-
ში ძალიან ბევრია დახოცილი და დაჭ-
რილი.

ზალცბურგი, 20 ივლისს. ზერმანიის
იმპერატორი ამ თვის 27-ს მოვა აქ და
მორე დღეს წავა იმპლში, საცა ნახავს
აესტრიის იმპერატორს.

ომის აგგები

აზიის ბრძოლის ველიდავ

რუსულს გაზეთს „ახალს დროებაში“
დაბეჭდილია შემდეგი დეკემბერი, რომელიც
ამ გაზეთს 15 ივლისს მიუღია ბათუმი-
დამ:

„მუხთარ-ფაშა ემზადება, რომ თავის
ჯარით დაეცეს ლენინგრალ-ადიუტანტის
ლორის-მელიქევის წინამძლომლობით
მყიფს რუსის მცირე აზიის მთავარ არ-
მიას.“

ვენის გაზეთში „Politiche Correspon-
denz“-ში შემდეგი მოსაზრებაა დაბეჭდი-
ლი საზოგადოთ ახლანდელ ამიანობის
შესახებ და განსაკუთრებით მცირე აზიი-
ს ბრძოლაზე:

„მცირე აზიაში ლენ-ადიუტ. ლორის-
მელიქევის იმდენი ჯარი არა ჰყავდა, რომ
ერთსა და იმავე დროს უარისთანაც და-
ეყენებინა ჯარი და გაშლილ ველზედაც
ბრძოლა გაემართა. ბრის გამო, მას შემ-
დებ, რაც მუხთარ-ფაშას ასე ბლომათ
მოვიდა ახალი ჯარები, ლორის-მელი-
ქევი იძულებული შეიქნა, რომ უარის
მოსილებოდა. ახლა ის მუხუჯ-დარა-
ში მოვების მცირეს.

„მაგრამ როგორც უნდა გადაწყდეს აქ,
აზიაში, საქმე, ამას მაინცა-და-მაინც მაგ-
დენი მნიშვნელობა არ ექნება; ბრძო-
ლის საქმე მერიას ველზე გადაწყდება
და არა აზიაში. მავკასიის და მცირე აზი-
ის რუსის ჯარს მხოლოდ ის მნიშვნე-
ლობა აქვს, რომ მერიას ბრძოლის
ველიდამ რაც შეძლება მომეტებული
ჯარები მოამორებინოს მსმალეთს. ეს

მიზანი შეასრულა ამ ჯარმა; მართლაც,
თითქმის რაც საუკეთესო ჯარები ჰყავ-
და მსმალეთს, უცელა მცირე აზიაში
გამოგზაუნა და მეროპაში კი საქმე წაა-
გეს.

„ახლა, როგორც ისმის, მსმალოს
სამხედრო მთავრობა მცირე აზიიდამ
ისევ მეროპაში აგზავნის ერთ ნაწილს
თავის არმიისა; მაშასადამე მაშინ ლო-
რის-მელიქევის ისევ სუტი მოწინააღ-
მდეგ დახვდება აზიაში და მოსალოდ-
ნელია, რომ ის ხელ-ახლად წინ გასწევს
შარს მიაღება და არზოუმისაკენცაც გაზ-
ავნის თავის ჯარებსა“. —

ლონდონის „რეიტერის აკრნტობაში“
დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 11
ივლისს სტამბოლიდამ მიღებული:

„7 ივლისს აკბუნარიდამ შილებული
დეპეშა გვატუბინებს, რომ 6-ს ივლისს
ზარგეთში დაბანაკებულმა ლორის-მე-
ლიქევმა გამოგზაუნა მსმალოს მარ-
ჯენა მხრის ჯარის წინამდლეგ თავის
ცხენოსანი ჯარით. ვიცხელი იმი შე-
იქნა; დამარცხებულ რუსებმა უკან დაი-
წიეს; მაგრამ ამ დროს იმათ მოუვიდათ
ახალი ჯარი 6,000 კაცი რუსის-ყაზახე-
ბი და შემდეგ ხელ-ახლად ატყდა ბრძო-
ლა. არცერთს მხარეს არ დარჩნია გა-
მარჯება; ნაშეაღადმევის პირები საათშე
მებრძოლნი მოშორდნენ ერთმანეთს და
თავ-თავიანთ ბანაკში წავიდნენ.

„ამ ბრძოლაში რუსების მხრით 250
კაცზე მეტია დახოცილი; ასმალოებს
კი 35 კაცი მოუკედათ და 58 დაჭრილი
ჰყავთ. —

„ბრძოლის დაწყებიდამ გათავებამდინ,
ე. რ. თოთხმეტი საათის განმავალობაში,
მუხთარ-ფაშა ცხენიდამ არ ჩამომხტარა,
ყველგან თითონ დადობდა და ახდენდა
განკარგულებას.“ —

სპეციალური მცირე აზიელი კორე-
სპონდენტი ლონდონის გაზეთის „Daily
Telegraph“-ისა იწერება, რომ პასან-მა-
ლებში უარის მახლობლად ასმალოებს
საათმყოფოები აქვთ გამართული და
აქ 2,500-მდინ არიან დაჭრილი და
ავათმყოფი ჯარის კაცებით.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

რუსულ გაზეთ „Голосъ“-ში მოყვანილია ვენის გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილი ტელეგრამმა სტამბოლიდამ, 11 ივნისიდამ, რომ ბოლონდელმა სამინისტრომ გადაწყვიტათ, რომ თუ რუსები ახლოს მოვლენ სტამბოლთან, სულთანმა უფურთ უნდა გამოჰტინოს მაჭადის დროშა. ბობარტ-ფაშა ხუთი ჯავშნიანი ხომალდით წავიდა სინკრიზი. მოელიან გაცხარებულ ბრძოლას ჭლოტის მხრივ. აბდულ-ქერიმ ფაშა და რედიჩ-ფაშა გადასახლებულნი არიან ბრუსსაში.

ერთს ვენის გაზეთში იწერებიან 13 ივლისიდამ შემდეგ ამბავს:

„სმალოს ჯარმა მიატოვა თავიანი დომი დაგილები აღმოსავლეთ სერბიას სამხლეარზე და ვიდინაში დასტოვეს მარტო 10,000 კაცი; ჯარი, რომელიც მოვიდა სოჭიიდამ, ისევ უკან დაბრუნეს. ბოლგარიას ხალხი, რომელიც მსმალოს ჯარში შესასვლელად არიან მოხმობილი, მირბიან ბალკანების მთებისაკენ.“

გაზეთი „Голосъ“-ის სპეციალური კორრესპონდენტი იწერება ტელეგრამით ვენიდამ 14 ივლის შემდეგ ამბავს:

„ინგლისური გაზეთის „Times“-ის სტამბოლელი კორრესპონდენტი სწერს, რომ თითქმის უველა ბალკანის მთებზე გადასასვლელი ალაგები დაჭრილია რუსის ჯარითათ. მსმალოს ჯარი ძალიან შეწუხებულია ავათმყოფობით. მეჭმედუაშა ისეთ მდგომარეობაშია, რომ არ შეუძლიან დაიწყოს შეტაკება ათს დღეზე დარე.“

იკივე კორრესპონდენტი სწერს ამავ გაზეთში, რომ დენერალი ტიმოშერმანი მოვიდა სილისტრიასთან და ამ ციხის გარ შემორტყმას უპირებს.

იკივე კორრესპონდენტი კიდევ იწერება, რომ ალექს-ფაშა თავის მოლაპარაკებაში ანდრაშისთან არწმუნებდა იმ ხმის სიცრუეს, რომ კითომ პორტას უნდა მოლაპარაკება მარტო რუსეთთან შეიიღონანობის ჩამოვდებაზე. ვენიდამ ვე იწერებიან, საეჭვო არ არისო, რომ თუ ინგლისმა დაკირა ბალიპოლის გზას დადგება და მეორე კი ბალიპოლის ასაღებად იქნება გაგზავნილი.

რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში მოყვანილია, 10 ივლისს, მუხარესტილამ მიწერილი ინგლისურ გაზეთს „Times“-ში შემდეგი ამბავი:

„რუმინიაში რუსებმა გააკეთეს დიდალი ყაზარმები სალდათებისათვის, ასე რომ ამ ყაზარმებში 200,000 კაცი დაეტევა.“

„მშობენ, რომ რუსები აპირებენ სილისტრისა და რუსუკის გარ-შემორტყმას ერთ და იმავე ღრის, იმ განზრავით, რომ ამ ორმა სიმაგრეებმა არ მისცენ შემწეობა ერთმანეთსათ.“

ინგლისური გაზეთი „Times“ ამბობს, რომ ზოგიერთები ერთობ უმატებდნენ მსმალეთის ჯარის რიცხვს მერიპაში, მაგრამ მათ 90,000 კაცის მეტი არა ჰყავთ, რომელთაც შეუძლიან წინ გასვლა იმ ოთხ-კუთხი სიმაგრეებიდამ, რომელსაც შეაღენენ რუსები, სილისტრია, შუმლა და ვარნა.

ნემენცურს გაზეთში „Tagblatt“-ში ლონდონიდამ სწერენ, რომ ინგლისი ემზადებათ გაცხარებული ომისთვისათ. ლივერპულში ამზადებენ ჯარისათვის დიდ-ძალ გადასაყვან ხომალდებათ.

„მოლფის სააგენტოში“ პეშტიდამ იწერებიან 15 ივლისიდამ შემდეგ ამბავს:

„სახალხო კრებამ, რომელიც შესდგებობა 8,000 კაცისაგან, მიიღო გადაწყვეტილება, რომის(კრება)ჰეიცხავს რუსებისგან მიღებულ ომის წესს განსაკუთრებით ბოლგარიაში; ბოლგარიაში რუსეთის უფლებისა და გავლენის გაძლიერება ავსტრო-ვენგრიისათვის მავნებელი არისო, და ამის გამო განჩინება დასდევს, რომ კრებამ გაგზავნოს დეპუტაცია მმართებლობასთან და მან მოსთხოვოს რუსეთსათ. რომ ამ გვარი ბრძოლა მოსპონს, რადგან ეს ავსტრო-ვენგრიის ინტერესებს ეწინააღმდეგებათ.“

ამბობენ, რომ როგორც საკმაო ჯარს გადაიყენს რუსეთი ბალკანის მთებს გადაღმა, იმწამსვე ეს ჯარი თუ ნაწილად გაიყიდათ, ერთი პირ-და-პირ სტამბოლის გზას დადგება და მეორე კი ბალიპოლის ასაღებად იქნება გაგზავნილი.

მცოდნე, კაცები ამბობენ, სწერენ ერთს ფრანცუზულს გაზეთში, რომ თუმცა ჯერ-ჯერობით მერიპაში ოსმალების საქმე ძალიან ცუდათ მიღის, მაგრამ ეს მდგომარეობა არც ისეთია, რომ იმის გაჭირება და საქმის მოვება ოსმალოებს კიდევ არ შეეძლოსთ. შევლაფრი დენერლებზე, საზღვრებზე არის დამოკიდებული: თუ ისინი იმდონ მხერიბასა და თავიანობას გმოიჩინენ, რომ ახალ საკმაო ჯარს მოაგრიებენ, დისციპლინას ალადგენენ ამ ჯარში და თავის დრო-

ზე და რიგიან ალაგატ დასტევდებონ. რუსის ჯარს, მაშინ დატერიტენ შექმნდება, რომ რუსები ბალკანის მთებში შეაჩერონ და სტამბოლიამდინ არ მიუშვან.

ახალი გარეშე საქმეთა მინისტრი მსმალეთისა შემდეგ ტელეგრამაში სწერს მსმალეთის ელჩებს უცხო ქვეყნებში:

„პლევნასთან გამარჯვების შემდეგ, ჩვენმა ჯარებმა წარითეს რუსებს 9 ივლისს თოფისაწმლითა და სხვა-და-სხვა სამხედრო მასალებით სასე ცხრა ურები, რომელიც მთატოვა რუსის ჯარმა ბრძოლის ველზე, როცა ჩვენი ჯარისა გამორჩებული გაიკცა.“

ივივე მინისტრი იწერება ამას გარდა, რომ ტრინივის ღუბერნატორი მაცნობებსო, რომ ამ ქალაქის აღების დროს რუსის ჯარმა და განსაკუთრებით ბოლგარიელებმა ბევრი ბარბარისობა ჩაიღინეს, მუსულმანების სოფლები გადასწვეს უარიალო მცხოვრებლები და ხოცეს და სხვ. რუსულ გაზეთებს ეს ამბავი, რასაკვირველია, არა სჯერათ,

„დროების“ კორრესპონდენცია

თხილალეთი, 18 ივლისს, აგერ სამი წელიწადია, რაც თრიალეთზედ სოლენიში ანუ პოთელიაში მცხოვრებლები განუწყვეტლივ ჩივიან ჩემთან და მრავალ სხვასთანაც თავიანთ მწერალებზედ; მაგრამ, რაღაცანაც „მაძლარი მშიერიც მაძლარი ჰერინია“, არავინ არ მივაკიცეთ ყურადღება და არც კი ვიკადებით ლაპარაკი მათთან უფრო იმიტომ, რომ სულ ერთ და იგივეს შამოვგეჩიოდნენ. ის კი არ ვიფიქრეთ — თუ კაცი რითაც არის მოსაქმე, სულ იმაზედ ფირობს.

მე დამკტიცებით შეერტყე ახლა მათი უბედური მდგომარეობა; მაგრამ, დროების უქონლობის გამო, ერთი პატარა რამ ვერ მიუბლარებნე, რომ მომეხერხებინა რამ და სხვებმაც ყურები არ გამოიჩინეს. მაგრამ, თუნდაც დროც მქონი, შემძლებობა კიდევ დაწერა და გამოხატვა მათი ქვემოთ მოვანილ მწერალებისა, ესინ იქმნებოდა მაშინ გამომძიებელი და შემბრალებელი მათი? აწინდელი ქვეყანა ქადაგობს სიყვარულის გრძნობის გალვინიზაციას, მაგრამ საქმით არაფერი სხინს. ჩვენ მარტო კედლებ შუა ხმელი სიტყვებით ვაკეთილებთ დაბალ ხალხის მდგომარეობას და საქმით კი თითონ ჩენევე ვატყეილებთ საცოდავებს! რალა გვეთქმის ჩინოვნიკებზედ, მათ თანა შემწევებზედ, მსაჯულებზედ, ვაჭრებზედ?

უკაცრავათ თვეენთან ქადაგებაზედ და გრძელებე საქმის უკან დაბრუნებაზედ. ახლა ვიწყოთ ლაპარაკი იმაზედ, თუ რას ამბობენ ჩვენი რეხელები ანუ პოთელი-ელეგი თვის შეწუხებაზედ, რომელიც იქნება თქვენსაეთ ვერ გამოვხატო და

ვერც გაგაებინოთ, მაგრამ გთხოვთ მო-
ტევებას.

1875-ს წლის ზაფხულის დროს, ამ-
ბობენ ისინი, მოპრინცი თრიალეთში
სახელმწიფო მიწების დასაზომათ მიწე-
ბის მზომავი უფალი მარდანოვი. მე მას
სრულიად არ ვიცნობ, მაგრამ, როგორც
ამბობენ თრიალეთელები, ის არის სო-
მეჩი, ფულის მონა, იუდაზედ გადაჭარ-
ბებული.

როგორ გაუყოფდა ის სოფლელებს
მიწებს? გარობა, იმის გარიგებული სა-
ქმები ყოველ სინილისინ კაცს ააღლ-
ვებს და აუზრუეს სიმართლის გრძნო-
ბას... მეც მინახავს მისი დაყოფილი მი-
წები წალკელებ ანუ თრიალეთელებ შეუ-
და გულადათ დავაშტკუცებ იმათ მარდა-
ნოვზედ ნაიქვამ სიტყვებს: „თუ სუ
ინანდა, პლ ხა ბახარ; სამა, მარდანოვ,
ერა გირაჯა და, ბუ იშ ყაირანდა, ბირ ქა-
რა და ბახმალი, ოაიჩონდა ბიზი ხარაბ
ეილადი, ხარაბ ეთსნონი ალა!“ (მათა-
მი წყალს დალექს და ღმერთს შეხედავს;
მაგრამ, ამ დედა მიწაში ჩასაძრომა მარ-
დანოვა, ამ საქმის გარიგების დროს,
ერთხელაც არ შეხედა! ამიტომაც დაგვ-
ლუპა დაღუპოს ღმერთმა ის).

განსაკუთრებით კი სტირიან და სიი-
ვან მის უამართლობაზედ ს. რეხელები
ანუ პოთელიელები, რომლებიც ამ-
ბობენ. მარდანოვა ამ ქვეყნის სიცოც-
ხლე სრულიად გავიიქრო. როგორა?
აი როგორ: მოგეხსენებათ, რომ თრი-
ალეთელები თოვლის გამოისობით, ნო-
ეგბრის ნახევრიდან ეიდრე მარტის გას-
ვლამდის, ცხვარ-ძროხას სახლში აქმევენ
თივა ბზესა, მუშა ხარ-კამეჩს-კი თით-
ქმის მაისის ნახევრამდინ. თუ ას არ
მოიქცნენ, საქონელს ვერ შეინახვენ და
ვერც არას დასთესენ. თესეა აქ იციან
შემოღომობით კი არა—გაზაფხულო-
ბით, შემოღომობით ერთ დათვისილ
ყანას ვერ ნახავთ მთელ თრიალეთის
სოფლებში, ამ დროს ისინი სთიბვენ
ყანებს, და არა მკიან, ბზის ბლომათ
მქონლობის გამო, რომ ზამთარში არ
დააშშიონ საქონელი.

აქედან წარმოიდგინეთ იმათი მდგო-
მარება მას დღეს აქეთ, რაც უფ. მარ-
დანოვს ჭეულის გაკეთებულ საქმემ წა-
ართვა ჭეშმარიტად კარებზედ შეინი-
ნაფუზრები და ჭალები სათივე.

სათივე ჭალები შემდეგ დიდი ხნის
დავისა და მრავალი ფულის დახარჯეისა
გამოვისენით ბატონების ხელიდან და
იმან კი წაგვართვა და მისცა იმათ, ვინც
სრულებით თავიანთვის საჭიროდ არ
რაცხავდნენ სიშორის გამო და აფუჭე-
ბინა მეჯოგებას, ჩეენ კი შიმშილით
გვეხოუბა საქონელი და ჩეენ თითო-
ნაც უყანობის გამო გაელარიბდით და
დაემგზავსენით მაწანწალა ბოჭება.
ვი ჩეენ დღეს და სიცოცხლე!

ას თავით იმეორებენ ამ დაგვარ
უბედურულ სიტყვება სოფლელები რე-
ხელები ყოველ უცხო იმათ სოფლები
შიმსელელ კაცთან.

ისინი კიდევ ამბობენ: ამ ჩეენი სი-
ცოცხლის საზღვების იმედის მოცემის

მაგივრათ, მოგვარა ჩეენ უფალმა მარ-
დანოვმა მაღალი ქვა კლდიანი, მთები,
სადაც ვერც გუთანი ეყიდება, და ვერც
შიშის გამო, ცხვარი-ძროხა ვერ წაუს-
ხიათ ჩეენ მწყემსებსო. ამ აღვილებსაც,
გვინც საუბედუროთ, ხან თავადები უპა-
ტრონდებიან და ხან მამულზედ
ზაფხულობით მცხოვრებელი და წაქ-
ზებული თავადებისაგან თათრები, რომ-
ლებიც მრავალ მოპარულ ჩეენ საქონ-
ლიდგან დეკეულებს და ბერწ-ძროხებს
მიართმევენ ხოლმე, თავადები დიდის
კამაყოლობით იღებენ მათვან ძლევნისა
და თავადურულათ უფრო ახელოვნებენ.
ქურდობაზედ, რაზედაც თათრები მიღიან
დიდის იმედით და გაბედულობით.

ეს ამბები ამ წამსაც ხდებიან. თუმცა
თრიალეთის საპრისტაუში მიღიდივართ
საჩივრად, მაგრამ იქიდგნაც, როგორც
იცით „ძრიელთან ულონო დამნაშავეა“:
დატუქსული და ტყუალათ გამტყუნე-
ბული, თავ-დაკიდული და ხელებ და-
კრეფილი ობოლნი ებრუნდებით შინი-
საკენ. თათრებს პრისტავიც მრავალი
სუქანი დეკეულების აყვანას შეუჩევეიათ..

შარშან თათრებმა 30 სული ძროხა
ერთ ღამეს მოგვპარეს, მეორე ღილას
წირეის დროს (კვირა იყო) თავ-გატეხი-
ლი მენახირე მოვიდა, მოგვიტანა ამბა-
ვი—თუ თათრებმა ყანები გადასწყვეს,
ცხვარი, ძროხა წაგვართვეს, გუთნებს
დაცნენ და ჯაჭვები და რკინის უღლე-
ბი წალეცსო.

ჩეენ მოთბინებიდგან გამოსულნი შა-
ვეროვდით წავედით ჩეენი საქონლის
გამოსასხელებით და აი რა მოხდა: მივე-
დით თუ არა თათრებთან, იმათ ჩხუბი
დაიწყეს, ტყბილი სიტყვებიც არ გვათ-
ქმევინეს. ბატარდა ჩხუბი, რაშიაც თათ-
რების შხარე მიიღეს იმათმა ძაღლებმაც
და ჩეენმა ზოგიერთმა კაცმა კი ღვთის
შიშისაგან ვერ განძრია ენაც, რომ
იმათოვინ შეეგინებინა ან დაცყვირნა.
შრომა თათრის ძაღლში ჩეენ ცხენზედ
მჯდომ კაცს ფეხი გამოაგლიჯა და ცხე-
ნიდამ ძირს ბრავანი გააღინა.

აი რა დღეში ვართ მარდანოვისაგან.

რუსთაველელი

ჭარილი რედაქტორთან

ბატონი მეგაზეო!

თქვენთან ერთი რამ სათხავარი გვა-
ქს და თუ კანონიერი იყოს ეს ჩეენი
თხოვა, ღმერთი გადღეგრძელებსთ, გვი-
წამლეთ რამე.

აი რას მოგახსენებთ:

ე რაღაც ეშმაკეული რკინის გზა
მოიგონეს, ამის გულისათვის სულ შუა-
შუა ღავიჭრებს ეს ამოდენა უკვდავება
მამულ-დეღული და ამში ახლა რკინის
ხიდზე გასვლა-გამოსელის ნებასაც კი
აღარ გვაძლევენ. სხვა სოფლებში რკინის
ხიდზე ცხენებითაც კი დაიარებიან. და
ჩეენ თავს-კი არვიცით რა ამბავია,
ჩეენში ვინც ხიდის ყარაულს პატიის
სკელ-სველი ნახევარ თუნგი

დუინით, თითო ბოთლი არაული წეფლე
თევზით და ანსხეა რამით, იშვა სრული
ნება აქვს ხიდზე გასვლა-გამოსელისა;
ვინც არა და ფეხსაც ვერ შესდგამს ზე-
და.

უკელას რომ შეგვეძლოს ამისთანა
პატიის-ცემა. კიდევ ჯანი გავარდდეს ჯა-
ნუასა, მაგრამ ბევრს ჩეენთაგანს მჭადის
ლუკმაც კი ენატრება და აბა რით გვიძ-
რდანებთ, რომ სხვას პატიის ცემა გა-
ვუწიო.

ახლა თქვენ იმას გეხვეწებით, ბატო-
ნი მეგაზოევ, რომ თქვენის გაზეთითვე
გვაცნობოთ: მართლა კანონით სულ
დაშლილია ხიდზე ფეხით გასვლა-გამოს-
ვლა, თუ მარტო რომელსამე ღრისა,
ანარა და, თუ ფასით უნდა გავდიოდეთ,
რა არის რეინის ხიდზე გასვლა გამოს-
ვლის მაზანდა?

ძეგველი.

— რკინის გზის ხიდებზე და იმ გზებზედ,
რომელიც სოფლის გზებს სჭრიან ახალითანი.
გადასაც და არ არა დედებული. მხოლოთ, რეი-
ნის გზის კანონებით, ამ ხიდებზე და სოფლის
გადახრილ გზებზე გასვლა-გამოსელა შეიძლება.
იმ დრომდინ, სანამ ათა მინუტი ჩჩება ამ აღა-
ვებზედ მაშინის გატარებისა, ე. ი. როცა ათა
მინუტი ჩჩება რკინის გზის მაშინის მოსვლამდინ,
მაშინ აქვთ ყარაულებს უფლება აღურძლიონ
უველავ გასვლა-გამოსელა, მისითაც ხიდებიც
არის რკინის გზაზე, რომელმცდაც ცხენისან
კაცა და ხარ ურებს არასდროს არა აქვს გასვლა-
გამოსელის უფლება.

რედ.

ჭარილი რედაქტორა

20 მკათაფეს

ამ თვის ოცს, ქალაქ თუილისში და
სხვა მართლ-ძაპების მხარეებში ჩეენულე-
ბრივ იღლესასწაულეს წმინდა მლიობა.

ამ ღლესასწაულს, ძველ დროში თურ-
მე არა ხელოსანი არ იმუშავებდა საქარ-
თველოში, და უკველათ უკელა ამქარს
სამღვით უნდა დაეკლათ, წმინდა მლიოს
სახელზე; მაგრამ ეხლა ეს ჩეენულება ჩეენ
ხალხს მიაერწყდა და მხოლოთ ღლესა-
სწაულობენ კი ხოლმე და ნამეტნავად
ხარაზები ძალიან უქმნებენ.

წმინდა მლია თურმე ხარაზი ყოფი-
ლა, როგორც იძახის ჩეენი ხალხი. ისე-
თი კეთილი და შრომის-მოყვარე კაცი
ყოფილია, რომ მის დროს ქვეყანაზე
მისებრივ ერთგული მუშა ხარაზი არა-
ვის ენახა. მლიოს პერნდა თურმე ხარა-
ზის დუქანი და სცოვერებდა მითიო, და
ისეთი ღლების-მოყვარეული კაცი იყოვთ,
რომ თავის ღლებში ერთს უქმე ღლებს არ
გასტეხამდა, თუნდ რომ კაცს ასი თუმა-
ნი მიეცა, მისთვის და ეთქვა, თუ ეს
საქმე გაკეთეო.

მრთხელ მლიას დუქანში, ერთ უქმე

დღესა, ერთი დედაკაცი მისულა და ჩა-
მოკიდებია—თუ ერთი წყვილი ქაში
შამიკერეო. მლიას ბერი უარი უთქვაში:
დღეს უქმეა და ზომას ვერ ავიღებო;
მაგრამ ბოლოს დედაკაც დაუძალადებია
და ზომა აუღებინებია,—ესეც აი ჩო-
გორ:

მლიას შაგირდისთვის მოუტავინებია
ერთი ტაშტი ნაცარი, დაუყრია თავის
კუნძის წინა და დედაკაცისათვის უთქვაში,
რომ აი ამ ნაცარზე დაღი ფეხი, ხვალ
ამ ფეხის დანადგომიდამ ზომას გადაეი-
ღებო და შაგიკერამო. დედაკაც ეს არ
უქნია, დაუძალადებია და როგორც რი-
გია გადალებინებია ფეხის ზომა. შემდეგ
წასულა.

გაგრამ წასევლის უმაღლე მლიას თა-
ვის დანაშაულობა უგრძენია: აუღია
თავის ორი წალის მახათი და გამოუთ-
ხრია თვალები.. მაშინათვე ზიციდამ ორი
ანგელოზი ჩამოსულა, აუყვანიათ მლია
და ზეცას წაუყვანიათ უფალთანა...

ადრე საქართველოში ხარაჭები უფ-
რო დღესასწაულობრნენ ამ დღესა. მა-
გრამ ახლაც აგრძელებენ ისინი ამქრობა-
ში ფულებია. მრთ რომელსამე ბალში
გააკეთებენ სადილსა და პარაკლისაც
ახდეინებენ. ადრე თურმე ყოველს ხა-
რაზს დახალოცად ყბლ (ვადა) გათავე-
ბული შაგირდი უნდა ჰყოლიყო მზათა,
ამ ღროსთვის, რომ უსტაბაშს დაელო-
ცა ეს იმისთვისა.

შოველი ხარაზი ევედრება ღმერთსა,
რომ მლიას ნიჭი, მოთმინება და სიმარ-
თლე მამეციო...

ზ. მთაწმინდელი

განცხადებანი

„კეპეთი“

სარძეო სარდაფი „კეპეთი“, ყოველ
დღე ისყიდება: კარაქი, ნალები, მეტა
ნა, ტორი, გირი, ყველი, უდუღარი და
ადუღებული რძე და მაწონი.

ამ ზაფხულს მსურველთ მოჯორმშიაც
შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის,
რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება,
მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩიკებმა წინ
და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს
თავის სურვილი, რომ დანიშნულ ღროს
სახლზე მიუვიდეთ.

სარძეო სარდაფი „კეპეთი“ იმყოფება:
სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ,
შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივა-
ნოვის ბიბლიოთეკა იყო.

სალისამებრ კონტრაქტისა, რომლი-
თაც შევეკარ მე თურილისის მალაქის
გამგეობას, ვ იყნის ამ 1877 წელს,
მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება
ხარჯისა, რომელიც ერთმევის საზიდე-
სათვის, მსუბუქი ღრივშებითა, ჭაეტო-
ნებითა და მძიმე საქონლის ზიდითა,
პოვოსკებითა და თუ უურგუნებითა.

ამ საგნისათვის მაქეს ნაჯირავები
კანტორა ერვნის მეიდანზედ, ალავერ-
დოვის სახლში სასულიერო სემინარის
პირ-და-პირ, მეჩანსკის უპრავას გვერდით.

შმადაბლესად ვსოხოვ ყოველთა, რო-
მელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის
ბლიახი, გამოცხალნენ ჩემს კანტორაში
შისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც
უნდა მისცენ განწევებული ფული. ვუ-
ლის მიღება და ბლიახის მიცემა და-
წყობილი იქმნება ყოველ დღეს დი-
ლით 8 საათიდამ ვიღირე 2 საათამდე
შუაღლის უკანა, გარდა კვირისა და უქ-
მი დღეებისა. ამისთვის მაქეს პატივი
გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

მოიჯარადე სტეფან დოვლათბეგოვი

სრული კანონი ვახტანგ მეფისა, ზო-
რგი მეფისა, მათალიკონტრაქტორი
ბერიმული, სომხური და ურული მეფ-
ისი). ლურჯ ქალალდე დაწერილი,
სუფთათ, და ყდაში არის შეცრული.

ზასის გაება შეიძლება მქონიმე ხე-
ლაძის სტამბაში.

ქილილა და მანა,
თარგმნილი სპარსულიდამ ქარ-
თულ ენაზედ მეფე ვახტანგისაგან
და გა ა ლ ე ქ ს ი ლ ი საბა სულებან
ორგანიზირებისაგან. სრულათ არის დაწე-
რილი და ყდაში ჩასმული. ზასის გაგრ-
ბა შეიძლება მქონიმე ხელაძის სტამბაში.

თბილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

მრევის მაედანზე, შინაბდებორის საბლებში.
შეათმყოფებს მიღებენ ყველ დღე, კვირას
გარდა, დღის 8 საათიდამ დილისვე 10 საა-
თამდინ.

ორგანიზაცია: ექიმი მინკიევიჩი — ხილურგიულ
აგათმყოფობისათვის, ზარალევიჩი და ლისიცევი
— შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი —
შანგანი ავათმყოფობისათვის, თამაშევი — თვა-
ლის ექიმი.

ორგანიზაცია: ლისიცევი — შინაგანი ავათ-
მყოფ, მიუჩარიანცი — ვენერიული აგათმყოფობი-
სათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგან ავათმყო-
ფობისათვის.

პარასკევის: ლისიცევი და ასატუროვი
— შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკიევიჩი
— ხილურგიულისათვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინა-
განიათმყოფი, მიუჩარიანცი — ურის და ხილუ-
რგიულ აგათმყოფობისათვის და თამაშევი — თვა-
ლის ავათმყოფობისათვის.

საბოლოო დოკუმენტი

რე. გზა.	ლილი.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ.	კაპ.	გილეა	გან.	კაპ.	გაზანდა	ვან.
მეობის.	9 21	5 18			ოცი სიტყვა თურილისიდამ:			პეტერბურგი, 21 ივნისს			ოცილის, 22 ივნისს	
გდეთა.	10 11	6 27	68	38	მუსის, ვოსტ.	1	—	მრიი მანეთი ლის:			შექ. თეთ. განვისა, უთ.	1 20
გრი.	11 58	9 43	2 40	1 23	გორს, ღუშეთს, სილანდა	50	—	ლინდონში 24 პერსი.	78	მერი ფუთი. . . .	შევალი წალენი. . .	1 —
ხაშური.	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოგება, მოსკოვის	2	—	პარიშში 262 ანტიმი.	81	ბაბა, მრევისა, ფუთი. .	შეაბა მრევისა, ფუთი. .	70
სურამი.	1 44	4 42	2 46		პეტერბურგს, ვარშავას	2	—	მსკონტი(სარგებლისფასი)	7 1/2	— ბაზერიისა, ფუთი. .	შეაბა მრევისა, ფუთი. .	50
უკირილა.	5 49	5 81	3 23		ოსმალეთში, შევიცარიაში	3	—	ბანკის ბილეთი 5%	94	ბაპერტილი ბაშბა ფუ.	ბაპერტილი ბაშბა ფუ.	50
რიონი.	6 47	6 75	3 75		იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	—	მოგებიანი(პირელისებასი)	207	მატული თუშური ფუ.	მატული თუშური ფუ.	80
სამტრედია.	7 41	7 73	4 29		ინგლისში	3 75	—	მოგებიანი(პირელისებასი)	207	მატული თუშური ფუ.	მატული თუშური ფუ.	6 —
ას.-სენაკი.	—	8 57	4 76		ფროზტადე სტეფან დოვლათბეგოვი		50	— მარაქამისა ფუ. . .		— მარაქამისა ფუ. . .	3 80	
უოთი.	9 40	9 75	5 42		ა) მოილისიდამ: სამზღვარ გა- რეთ, მუთასს, რუსეთს — ყოველ დღე კირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.			გირაოს ფურცლები:		— განვისა ბური სტ.	— განვისა ბური სტ.	20
					ბ) მოილისიდამ: სამზღვარ გა- რეთ, მუთასს, რუსეთს — ყოველ დღე კირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.			თურილ. სააზ. ბანკის.		— მარაქამისა ფუ. . .	— მარაქამისა ფუ. . .	50
					კოზურ. — პარასკ. და ორშ. მახეთს — სამშ. და შაბ. ბ) მუთასიდამ:			ხერსონის ბანკის (5 1/2)	83	მარაქამისა ფუ. . .	მარაქამისა ფუ. . .	20
					თურილისა და ვოთისკენ — ყოველ დღე, კირის გარდა. ზუგდ. გზის — ორშ. და პარასკ.			მოსკოვის (5%). . . .	90 50	მარაქამისა ფუ. . .	მარაქამისა ფუ. . .	20
								ა კ ც ი გ ბ ი:		— მარაქამისა ფუ. . .	— მარაქამისა ფუ. . .	50
								ლიდესის სავაჭრო ბანკის	158	— ცხერისა, ლიტრაბ.	— ცხერისა, ლიტრაბ.	54
								ვოთი-თურილ. რეინ. გზის		— სპირტი, გრადუსი	— სპირტი, გრადუსი	12 —
								შავი ზღვის ცეც. გემების	465	შაქარი, ბროც. ფუთი.	შაქარი, ბროც. ფუთი.	80
								ქავაზის და მერსურის	203	— ფხვნილი ფუთი.	— ფხვნილი ფუთი.	50
								პირე. საზღვევ. საზღვევ.	735 50	შავა გრგვალი, ფუთი.	შავა გრგვალი, ფუთი.	25 —
								დეტერ. საზღვევ. საზ.	235 50	ზეთი ჭურაუთისა ფუთ.	ზეთი ჭურაუთისა ფუთ.	9 —
								მოსკოვის საზღვევ.	268 —	ოქრი 1/2 მიმრიალი.	ოქრი 1/2 მიმრიალი.	979

დავილი ცენზურით. თებელი, 23 ივლი 1877 წ. თიპოგრაფია მელიკოვა. გამომცემელი ს. მალინიშვილი. რედაქტორი ს. მასები.